საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 915/01
02/02/2022

915-01-2-202202021731

შპს „ნიუ ტრანს როუდს“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჟვანიას ქ. N10

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის N23357 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ქვიშა-ხრეშის საწარმო მდებარეობს 7400 $м^2$ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 34.09.47.016). მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდისა და GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ნიუ ტრანს როუდის“ საკუთრებაში (იჯარით სარგებლობის უფლებით) არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 6001 $м^2$-ს, ხოლო საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის ნაწილი, განთავსებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 34.09.47.199). შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საქმიანობის განხორციელება უნდა შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი დაშორებულია 2200 მეტრით, თუმცა წარმოდგენილი საკადასტრო კოდის და GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 1,4 კმ-ის დაშორებით. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შესწორებას/დაზუსტებას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს სიტუაციური სქემა და გენ-გეგმა შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც ასევე ასახული იქნება ნედლეულისა და მზა პროდუქციის საწყობები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოო დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული 300 $м^2$ ფართობის მქონე ბუნებრივი წყალსატევიდან, რომლის GPS კოორდინატების (X-

290099,02; Y-4668518,55). ელექტრონული გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ წყალსატევი მდებარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 34.09.47.199). გარდა ამისა, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ნიუ ტრანს როუდის“ საწარმო ტექნიკური მიზნებისთვის, წყალაღებას ახდენდა ზედაპირული წყლის ობიექტიდან შესაბამისი წყალაღების ტექნიკური რეგლამენტის გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წყალსატევიდან სარგებლობა (წყალმოხმარებისა და წყალჩაშვების შესახებ) შეთნახმებული უნდა იქნეს შესაბამის უწყებასთან და წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის შესახებ ინფორმაცია საწარმოდან 500 მეტრის რადიუსში;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოს მომიჯნავედ და მიმდებარე არეალში ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმოები, კერძოდ, შპს ,,კალე კომპანის'' კუთვნილი საწარმო დაშორებულია 700 მეტრით, შპს ,,რასეტი'' სააწრმო 750 მეტრით და შპს ,,რესურსი–2009''–ს საწარმო - 900 მეტრით. ასევე, სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოსა და უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის მანძილის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან, საწარმოს GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი 2,2 კმ-ის ნაცვლად, მდებარეობს საწარმოდან 1,4 კმ-ის დაშორებით, კუმულაციური ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოდან უახლოეს სახლამდე რეალური მანძილის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამინისტროს შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე